საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობის შეფასება

თბილისი

2017

კვლევის ავტორები:

სალომე ცეცხლაძე

მარიამ გოგიაშვილი

კვლევის თანაავტორი და ხელმძღვანელი:

მამუკა ანდღულაძე

ანგარიშის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო; ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან
საქართველო

საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობის შეფასება

შესავალი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” უკვე წლებია საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგს ახორციელებს და იკვლევს რამდენად უზრუნველყოფილია გამჭვირვალობის, კარგი მმართველობის პრინციპების დაცვა და ზოგადად, რამდენად კარგად ასრულებს საზოგადოებრივი მაუწყებელი კანონმდებლობით დადგენილ უმნიშვნელოვანეს როლსა და ფუნქციას ქვეყანაში.

წინამდებარე ანგარიშის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შესწავლა და შეფასება, ინსტიტუციური პრობლემების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება შემდგომში მათი გაზიარების კუთხით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის შუალედური ანგარიში 2016 წელს მოიცავდა რეორგანიზაციის ფონზე არსებულ გამოწვევებს, კომუნიკაციის პრობლემას თანამშრომლებსა და მენეჯმენტს შორის, საკადრო პოლიტიკის არარსებობას, თანამშრომელთა გულგრილობას მაუწყებელზე მიმდინარე პროცესების მიმართ და განწყობას, რომ სამუშაო გარემო მაუწყებელში არასამართლიანია.

შუალედური ანგარიშის გამოქვეყნების შემდგომ საზოგადოებრივ მაუწყებელში დირექტორი შეიცვალა. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მოიცავს საზოგადოებრივ მაუწყებელში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ მიმდინარე პროცესების შეფასებას და შესაბამისი გამოწვევების დადგენას.

ძირითადი მიგნებები

- ნდობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ არის კრიტიკულად დაბალი მათ შორის ბოლო პერიოდში სარედაქციო პოლიტიკის შეცვლის, საკადრო გადაწყვეტილებებისა და კონკურსების გაუმჭვირვალედ ჩატარების გამო;

- ახალი მენეჯმენტის პირობებში გაძლიერდა ეჭვები, საზოგადოებრივ მაუწყებელზე ხელისუფლებისა და ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პირების ზეგავლენის შესაძლო გაზრდასთან დაკავშირებით;

- საზოგადოებრივ მაუწყებელში "ჯი-დი-ეს"-ის თანამშრომლები აქტიურად დასაქმდნენ, როგორც წამყვანი მენეჯერის, ასევე ჟურნალისტების პოზიციებზე;

- საზოგადოებრივ მაუწყებელში რეორგანიზაციასთან დაკავშირებული მოვლენები არის ბუნდოვანი და არასათანადოდ გამჭვირვალე;

- საზოგადოებრივი მაუწყებელი შესაძლოა არღვევდეს კანონით1 განსაზღვრული შინაარსობრივი პრიორიტეტების შესრულების ნაწილს;

- სამეურვეო საბჭო არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სათანადოდ არ რეაგირებს მაუწყებელში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით;

- საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ "მაუწყებლობის შესახებ" კანონში პირველი მოსმენით მიღებული ცვლილებები ამცირებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გამჭვირვალობას, ვნებს სარეკლამო ბაზარს;

- მიუხედავად იმისა, რომ მაუწყებელში წლებია ატესტაციასა და კადრების ოპტიმიზაციაზე საუბარი მიმდინარეობს, მისი გეგმა და განხორციელების თარიღი დღემდე უცნობია. მაუწყებელში დღემდე არ არის დამტკიცებული საშტატო განრიგი.

შესავალი

საქართველოში მედიაგარემო პოლარიზებულია და ამ ფონზე საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. სამწუხაროდ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, სხვადასხვა ხელმძღვანელის არაერთი მცდელობისა თუ ჩატარებული ე.წ. "რეფომებისა", დღემდე ვერ მოახერხა კანონმდებლობით ნაკისრი მისიის შესრულება. საზოგადოებრივი მაუწყებლის ისტორია მისი შექმნიდან დღემდე მუდმივ კრიზისად შეგვიძლია შევაფასოთ.

1 მაუწყებლობის შესახებ კანონი, მუხლი 20

წლების განმავლობაში საფუძვლიანი კრიტიკა ისმოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელისუფლებასთან აფილირებულობის გამო. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის დღიდან მისმა ვერცერთმა დირექტორმა ვერ დაასრულა კანონით გათვალისწინებული 6 წლიანი ვადა - ისინი, სავარაუდოდ, პოლიტიკური მიზეზების გამო ტოვებდნენ თანამდებობას. ბოლოს გიორგი ბარათაშვილმა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოულოდნელად განაცხადა თანამდებობიდან წასვლის შესახებ.

გენერალური დირექტორი	თანამდებობაზე ყოფნის წლები	თანამდებობის დატოვების მიზეზები
თამარ კინწურაშვილი	2005-2008	გადადგა
ლევან ყუბანეიშვილი	2008-2009	გადადგა
გიორგი ჭანტურია	2009-2012	გადადგა
გიორგი ბარათაშვილი	დეკემბერი 2012 - მარტი 2013	სამეურვეო საბჭომ გაათავისუფლა
გიორგი ბაქრაძე (მოვალეობის შემსრულებელი)	მარტი 2013 - აპრილი 2013	სასამართლომ თანამდებობაზე გიორგი ბარათაშვილი აღადგინა
გიორგი ბარათაშვილი	აპრილი - სექტემბერი 2013	სამეურვეო საბჭომ გაათავისუფლა
თამაზ ტყემალაძე (მოვალეობის შემსრულებელი)	სექტემბერი-დეკემბერი 2013	სასამართლომ თანამდებობაზე გიორგი ბარათაშვილი აღადგინა
გიორგი ბარათაშვილი	2013 წლის დეკემბრიდან - 2016 წლის ნოემბრამდე	გადადგა
ვასილ მაღლაფერიძე	2017 წლის იანვრიდან - დღემდე	---

პოლიტიკურ აფილირებასთან ერთად, მაუწყებლის ქრონიკულად დაბალი რეიტინგი, ფინანსური ვალდებულებები, მოძველებული ტექნიკა, არაპროფესიონალი და დემოტივირებული კადრები დღემდე მძიმე ტვირთად აწევს ტელევიზიას.

ახალი დირექტორი

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ დირექტორად ვასილ მაღლაფერიძე 2017 წლის იანვარში სამეურვეო საბჭომ აირჩია. მაღლაფერიძე ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ოჯახის კუთვნილ ტელევიზია GDS-სა და მეცხრე არხზე პროდიუსერად და დირექტორის მოადგილედ მუშაობდა.

ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის დღიდან მთელი რიგი სადაო და არათანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა. მათ შორის, მოხდა კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მაუწყებლის საქმიანობას ნაკლებად გამჭვირვალეს ხდის, ნეგატიურ გავლენას ახდენს სარეკლამო ბაზარზე და ზრდის დირექტორის უფლებამოსილებას. გადაცემების 1 წლით შეჩერების და ამ გზით მაუწყებლის რეფორმის დაანონსებული გეგმის განხორციელების ფორმა და მეთოდები სამოქალაქო სექტორის კრიტიკის საგანი გახდა, აღარ გაგრძელდა რადიო “თავისუფლებასთან” გაფორმებული

ხელშეკრულება და შესაბამისად შეჩერდა გადაცემები “წითელი ზონა” და “ინტერვიუ”, გამოცხადდა კონკურსები ახალი გადაცემების შერჩევაზე და გამარჯვებული პროექტების ნაწილი ბუნდოვანი მიზეზებით დაიწუნა მენეჯმენტმა. კადრების აყვანა და ახალი შენობის შერჩევის პროცესი კითხვებს ბადებს გამჭვირვალობასა და მენეჯემენტის თანმიმდევრულობაზე.

რეგრესული საკანონმდებლო ცვლილებები

2017 წლის 22 ივნისს პარლამენტართა ჯგუფის მიერ მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის ინიცირება მოხდა. ცვლილებები საზოგადოებრივ მაუწყებელს ეხებოდა. ინიცირებამდე, პარლამენტში შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრიც “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” წარმომადგენელიც იყო. 5 თვის მანძილზე ჯგუფის არც ერთ წევრს არასამთავრობო სექტორიდან არ მიუღია შეტყობინება შეხვედრის ჩატარების შესახებ. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავებაში მონაწილეობა ფაქტობრივად არ მიუღიათ. 6 თვის შემდეგ, 17 ივნისს ჩაინიშნა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც წარმოადგინეს შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებამ კრიტიკულად შეაფასა. ის მნიშვნელოვნად ამცირებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გამჭვირვალობას და ვნებს სარეკლამო ბაზარზე კონკურენციას.

კანონპროექტით რამდენიმე პრინციპულად მნიშვნელოვანი ცვლილება იგეგმება:

გამონაკლისი სახელმწიფო შესყიდვების წესიდან

ელექტრონული შესყიდვების მიზანი ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვა, შესყიდვებში მონაწილე პირების მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომისა და შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფაა. “შესყიდვების შესახებ კანონის” რეგულირებიდან გასვლა ნიშნავს საზოგადოებრივ მაუწყებელში გამჭვირვალობის შემცირებას და კორუფციის რისკის ზრდას. მაუწყებლის მენეჯმენტის განცხადებით, ტენდერის ნაცვლად, გადაცემების შესარჩევად კონკურსს ჩაატარებს, თუმცა არ არის ცნობილი თუ როგორ ჩატარდება ეს კონკურსი, ვინ იქნება საკონკურსო კომისიაში და ა.შ.

სტარტაპების დაფინანსება

ინიცირებული კანონპროექტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილი იქნება დააფინანსოს დამწყები საწარმოები (სტარტაპები) წახალისების, ტელე-, რადიო- და ონლაინ პროდუქციის ინოვაციური განვითარების, მაუწყებლობის სფეროში გარემოს განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ღიად დარჩა საკითხი, რა არის ინოვაციური პროექტი, ვინ განსაზღვრავს მის ინოვაციურობას ან დაფინანსების საკითხს, შესაბამისად შემოთავაზებული მუხლი ტოვებს ბიუჯეტის გაუმჭვირვალე ხარჯვისა და კორუფციული გარიგებების რისკებს.

რეკლამა და სპონსორობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის რეკლამის და სპონსორობის დარეგულირებასთან დაკავშირებით შემოთავაზებული ცვლილებები მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეას იყოს სრულად თავისუფალი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კომერციული ინტერესების გავლენისგანაც.

შემოთავაზებული ცვლილებებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კომერციული რეკლამის დროის გაორმაგება, ასევე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე სპონსორობის ფარგლების გაზრდა იგეგმება. იმ მოცემულობაში, რომ საზოგადებრივი მაუწყებელი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციაა და მას ისედაც აქვს გარანტირებული და ზრდადი შემოსავალი, არსებობს საშიშროება, რომ დემპინგური ფასებით კიდევ უფრო დამძიმდეს სარეკლამო ბაზარზე არსებული მდგომარეობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ სასპონსორო პაკეტების შემთხვევაში დემპინგური ფასების გამოყენების შესახებ საუბარია 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში. ცვლილებები კერძო მაუწყებლებმაც გააპროტესტეს.



წყარო: საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის ინიციატორებმა საჯარო ინფორმაციის ნაწილის გასაიდუმლოებასთან და საბიუჯეტო კოდექსიდან გასვლასთან დაკავშირებით არსებული ინიციატივები პარლამენტიდან გაითხოვეს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, საბოლოო პროექტში მაინც დარჩა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, მაუწყებელს წინა წლის ბიუჯეტის ნაშთი მომავალი წლის ბიუჯეტს ავტომატურად დაემატება. ამჟამად, კანონის პროექტი პირველი მოსმენით არის მიღებული.

ახალი პროექტების შესარჩევი ბუნდოვანი კონკურსები

საზოგადოებრივ მაუწყებლში გადაცემების კონკურსების გამოცხადებამდე ახალმა მენეჯმენტმა რამდენიმე ხმაურიანი გეგმა წარმოადგინა. თავდაპირველად არხზე ერთი წლით "მოამბის" გარდა ყველა გადაცემის დახურვა და არხზე რეორგანიზაცია იგეგმებოდა, სხვა გეგმის მიხედვით ბადეში მხოლოდ რეიტინგული გადაცემები დარჩებოდა. საბოლოო გადაწყვეტილებით, ივლისის თვეში საინფორმაციო გამოშვების გარდა, ყველა სხვა გადაცემა დაიხურა, მაგრამ პარალელურად რიგ ახალ გადაცემებზე კონკურსი გამოცხადდა, რომლებიც ახალი სატელევიზიო სეზონიდან უნდა ჩაშვებულიყო ბადეში.

შესარჩევად გამოცხადებულ კონკურსში 9 პროექტმა გაიმარჯვა, რომლიდანაც მხოლოდ 4 გადაცემა იყო ახალი, ხოლო დანარჩენი არსებული გადაცემების განახლებულ ფორმატს წარმოადგენდა. რამდენიმე თვის შემდეგ კონკურსში გამარჯვებული 4 ახალი გადაცემიდან მენეჯმენტმა ორი პროექტი ბუნდოვანი მიზეზით დაიწუნა. პროექტის ავტორების განცხადებით, გადაცემებზე მუშაობა დაწყებული ჰქონდათ, არხის დირექტორიც კი შეხვდათ და ამ ახალი პროექტების შესახებ მაუწყებლის მიერვე მომზადდა სიუჟეტები.

ამასთანავე, გამოცხადდა კონკურსი სერიალების გადასაღებად, რომლის ფარგლებშიც ერთი დეტექტიური და ერთი მელოდრამის ჟანრის სერიალი უნდა გადაეღოთ. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულ მელოდრამის ჟანრის სერიალ "ლივლივზე" მუშაობა უკვე დაწყებული იყო (მეორე "კვარტლის" ანგარიშში აღნიშნულია, რომ "ლივლივი" მოსამზადებელ ფაზაშია), პროცესი მოულოდნელად შეწყდა. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე ვასილ მაღლაფერიძემ პროექტის დაწუნება იმით ახსნა, რომ ის არ შეესაბამებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის კონცეფციას.

საბოლოოდ, ახალ სატელევიზიო სეზონს (სექტემბერში) მაუწყებელი მხოლოდ საინფორმაციო გამოშვება "მოამბით" და წინასაასაარჩევნო პროექტით "თვითმმართველობა 2017" შეხვდა.

მაშინ, როცა უცნობი რჩება კონკურსში გამარჯვებული გადაცემების ნაწილის ეთერში გასვლის დრო, ტელევიზიის ბადეში კონკურსის გარეშე გაჩნდა გადაცემა "ილუზიონი", რომლის ერთ-ერთი წამყვანი კონკურსში მონაწილეობდა სხვა პროექტით "მითები და სტერეოტიპები" და ვერ გაიმარჯვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მიღებული დაუსაბუთებელი და ბუნდოვანი გადაწყვეტილებები აზრს უკარგავს კონკურსების გამოცხადებას და მაუწყებლის მხრიდან "მოჩვენებითი გამჭვირვალობის" ილუზიას ქმნის.

საკადრო პოლიტიკა მაუწყებელზე

საზოგადოებრივ მაუწყებელზე არსებული “გაბერილი კადრების” შესახებ საუბარი წლებია მიმდინარეობს. სამწუხაროდ, ვერც ერთმა მენეჯმენტმა ვერ ან არ შეძლო აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზის მონახვა.

2017 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით, საზოგადოებრივ მაუწყებელზე დასაქმებულია 1 174 ადამიანი და გენდერული ბალანსი შემდეგნაირად გამოიყურება:



საზოგადოებრივ მაუწყებელზე ხშირია შემთხვევები ახალი კადრების კონკურსის გარეშე დასაქმებისა. მასობრივი ხასიათი აქვს ყოფილი პრემიერის, ივანიშვილის შვილის კუთვნილი ტელეკომპანია GDS-ის ყოფილი თანამშრომლების მაუწყებელზე გადმოყვანას, მას შემდეგ რაც GDS-ზე არსებული გადაცემები დაიხურა და ტელევიზია ტელეკომპანია “იმედმა” შეისყიდა.

აღსანიშნავია, რომ GDS-დან პირველ არხზე დასაქმებულ თანამშრომლებს შორისაა თამთა ყუბანეიშვილი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის, სოზარ სუბარის მეუღლე. ის არხის ერთ-ერთი მთავარი საზოგადოებრივი პოლიტიკური ტოქ-შოუს “აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად” პროდიუსერია. აქ კითხვის ნიშანს აჩენს ის გარემოებაც, თუ რამდენად კრიტიკული და ობიექტური იქნება გადაცემა მთავრობის მიმართ, როცა პროდიუსერის მოვალეობებში შედის სტუმრების ეთერში მოყვანა და კითხვების მომზადებაც კი.

ახალი თანამშრომლების აყვანის პროცედურა რომ გაუმჭვირვალეა, სტატისტიკაც მეტყველებს.



2017 წლის 23 ოქტომბრის მონაცემები - მონაცემები მოწოდებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ

რეორგანიზაცია

საზოგადოებრივ მაუწყებელში არაერთხელ იყო საუბარი რეორგანიზაციისა და კადრების ოპტიმიზაციის შესახებ. ჯერ კიდევ გასულ წელს მაუწყებელი თანამშრომლებისთვის ატესტაციის ჩატარებას აპირებდა და ამ მიზნით 2016 წელს 4850 ლარის ღირებულების ხელშეკრულება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) გააფორმა, რომელსაც მემონტაჟის, ოპერატორის, ჟურნალისტის და პროდიუსერისთვის შეფასების კრიტერიუმებისა და სახელფასო ბადის შემუშავება ევალებოდა. პროცესი 2016 წლის დეკემბერში უნდა დასრულებულიყო.

თანამშრომლების ოპტიმიზაციის შესახებ განცხადება მენეჯმენტში მოსვლისთანავე ვასილ მაღლაფერიძემაც გააკეთა. თუმცა, რამდენიმე თვეში, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის ხელმძღვანელმა გიორგი გვიმრაძემ "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოსთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ იგეგმება არა ატესტაცია, არამედ თანამშრომელთა პერიოდული შეფასების სისტემის დანერგვა, რომელიც განსაზღვრავს რანჟირების, ანაზღაურების, პერსონალის განვითარების სტრატეგიასა და სხვა საკითხებს. მისივე თქმით, თანამშრომლების შეფასების პროცესის დასრულება მაისამდე ივარაუდებოდა, თუმცა იგივე კითხვაზე უკვე სექტემბერში გვიპასუხეს, რომ "აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და შესაბამისად, სამუშაო პროცესი ამ ეტაპზე დასრულებული არ არის"[2].

2 საზოგადოებრივი მაუწყებლიდან 2017 წლის 8 სექტემბერს მიღებული პასუხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის კონსულტანტები

პრობლემურია საზოგადოებრივ მაუწყებელზე დასაქმებული კონსულტანტების შესახებ ინფორმაციის მოძიება. 2017 წლის 15 აგვისტოს მდგომარეობით, "საზოგადოებრივ მაუწყებელში" დასაქმებულია 9 კონსულტანტი, აქედან 3 უვადო ხელშეკრულებით. კონსულტანტების თვიური ანაზღაურება ჯამში 25 550 ლარს შეადგენს[3]. აღსანიშნავია, რომ ვასილ მაღლაფერიძის მენეჯმენტში მოსვლის შემდეგ 4 კონსულტანტი დასაქმდა. არც ახლად აყვანილი და არც მანამდე დასაქმებული კონსულტანტების სამუშაო აღწერილობა მაუწყებელში არ არსებობს. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" 2017 წლის დასაწყისში გამოითხოვა ინფორმაცია კონსულტანტების ვინაობის შესახებ, თუმცა მაუწყებელმა აღნიშნული ინფორმაცია პერსონალურ მონაცემად მიიჩნია და შესაბამისად უარი განაცხადა მათ მოწოდებაზე. ეს გადაწყვეტილება "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ამჟამად სასამართლოში აქვს გასაჩივრებული.

საეჭვო შესყიდვები

ა. კითხვები შესყიდვებზე

საზოგადოების კრიტიკა გამოწვია საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ჩატარებულმა ტენდერებმა. ერთ-ერთი მათგანია სერიალის წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფისთვის გოგა ხაინდრავას კომპანიის მიერ მოგებული 484 ათას ლარიანი ტენდერი. გოგა ხაინდრავა ივანიშვილებთან დაახლოებული პირია - მისმა კომპანიამ ბიძინა ივანიშვილის ოჯახის ტელევიზიის დაკვეთით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის შესახებ სერიალი "ჰეროკრატია" გადაიღო, რომელიც 2016 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ გაუშვეს. აღნიშნული ფილმის გადაღება კი ბიძინა ივანიშვილის იდეა იყო.

გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობის შესახებ კითხვები წარმოიშვა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის სტუდიისათვის ბათუმის ცენტრში 500 კვ.მ ფართის შეძენასთან დაკავშირებით. აღნიშნული შესყიდვა ითვალისიწინებს სტუდიის მშენებლობასაც. მაუწყებელი არ აკონკრეტებს რა თანხა გადაიხადა ფართში, თუმცა უძრავი ქონების შეძენის შესახებ თანხმობის ოქმის მიხედვით, შესყიდვის ღირებულება, სავარაუდოდ 100 ათას დოლარამდეა. უცნობია ასევე, რა ეღირება სტუდიის აშენება/შენახვა. საინტერესოა, თუ რატომ სჭირდება საზოგადოებრივ მაუწყებელს აჭარაში ამხელა სტუდია, მაშინ როცა ამ ეტაპზე აჭარის რეგიონში მხოლოდ 1 ჟურნალისტი და 1 ოპერატორი ჰყავს.

ბ. "საჩუქარი" ბერა ივანიშვილისაგან

მიმდინარე წლის ოქტომბერში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებული ახალი გადაცემის სპეცგანათების უზრუნველყოფის მომსახურების ტენდერი მოიგო კომპანიამ "სილქ ფაქტორი სტუდიო", რომელსაც ბიძინა ივანიშვილის შვილი,

3 საზოგადოებრივი მაუწყებლისგან 2017 წლის 30 აგვისტოს მიღებული წერილის პასუხი

ბერა ივანიშვილი ფლობს, ხოლო დირექტორი ამ შემთხვევაშიც ივანიშვილთან დაკავშირებული პირი გოგა ხაიდრავაა. ტენდერში მხოლოდ 1 კომპანია მონაწილეობდა. ტენდერის მიხედვით, მაუწყებელს კომპანიისთვის 346 ათასი ლარი უნდა გადაეხადა.

საზოგადოების მწვავე კრიტიკის შემდეგ, ბერა ივანიშვილმა განცხადება გაავრცელა, რომლის საფუძველზე ირკვევა, რომ ის არ იყო აღნიშნული ტენდერის შესახებ ინფორმირებული და მის განკარგულებაში არსებულ ტექნიკას საჩუქრად გადასცემდა პირველ არხს. ბერას განცხადების შემდეგ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ტენდერი შეწყვიტა და მენეჯმენტისა და სამეურვეო საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით, საჩუქრის მიღებაზე თანხმობა განაცხადა. საბჭოს სხდომაზე, სამეურვეო საბჭოს წევრი მარინა მუსხელიშვილი ინიციატივითაც კი გამოვიდა, რომ მადლობის ნიშნად პირველ არხზე ბერა ივანიშვილის კონცერტი გადაეცათ.

სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება ბერას საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით 9 ნოემბერს გამოცხადდა. მომდევნო დღეს გადაცემაში "კვირის ინტერვიუ" ვასილ მაღლაფერიძეს წამყვანმა ჰკითხა არის თუ არა სტუდია, რომელშიც იმყოფებიან ბერას ნაჩუქარი აპარატურით განათებული. ამ უკანასკნელმა ფაქტობრივად დაადასტურა: „ნაწილობრივ, რამდენადაც ვიცი. ტექნიკურად ეს როგორ ნაწილდება, მოგეხსენებათ ახლა, განათების სისტემის დეტალებში ნუ შევალთ და არც შევალ, მაგრამ აქ არის მართლაც ეს შემოტანილი... შეიძლება ზოგი ამ სტუდიაში ალაგია და ზოგი მეორე სტუდიაში".

თუმცა იმავე საჩუქართან დაკავშირებით 27 ნოემბერს საზოგადოებრივი მაუწყებელი ოფიციალურად გვატყობინებს, რომ "განათების საკუთრებაში გადმოცემასთან დაკავშირებით ჩუქების ხელშეკრულება არ გაფორმებულა".

გამოდის, რომ აპარატურა 27 ნოემბერსაც კი არ იყო იურიდიულად გადაცემული, თუმცა 10 ნოემბერს სტუდიებში შესაძლოა უკვე დამონტაჟებული იყო და საზოგადოებრივი მაუწყებელი იყენებდა მას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 9 ნოემბრის სამეურვეო საბჭოს მსჯელობაც ფორმალური იყო.

ტელევიზიის ახალი შენობა

ახალი ინტეგრირებული ნიუსრუმის მშენებლობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივმა მაუწყებელმა რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთხელ შეცვალა გადაწყვეტილება, რამაც დროში გაწელა მთელი პროცესი და წარმოაჩინა მენეჯმენტის მიერ პროცესის არაეფექტურად მართვის პრობლემა.

ჯერ კიდევ 2016 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაკვეთით შეიქმნა არქიტექტურული პროექტი, რომელშიც მაუწყებელმა 39 ათასი ლარი გადაიხადა.[4] აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე ტენდერი 2016 წლის 11 ოქტომბერს გამოცხადდა, გამარჯვებული კომპანიაც გამოვლინდა, თუმცა ტენდერი შეწყდა - მიზეზად მთავრობასთან მოლაპარაკებები მიწის ნაკვეთის შესაძლო გადმოცემასთან დაკავშირებით დასახელდა.

4 საზოგადოებრივი მაუწყებლის 23.10.2017-ის წერილი

სამწუხაროდ, მაუწყებლის მიერ შემდგომ მიღებულმა არათანდმიმდევრულმა და ურთიერთგამომრიცხავმა გადაწყვეტილებებმა ეჭვეშ დააყენა ნიუსრუმის პროექტისათვის 39 ათასამდე ლარის გადახდის მიზანშეწონილობა. ახალი მენეჯმენტის გადაწყვეტილებით გამოცხადდა კონკურსი, ამჯერად მაუწყებლის მესამე კორპუსის რეკონსტრუქციისა და ახალი ნიუსრუმის არქიტექტურული პროექტის შესარჩევად, სადაც კომპანია“თბილქალაქპროექტმა” გაიმარჯვა. პროექტის შექმნის ღირებულება მილიონამდე ლარს შეადგენს.

შენობის საკითხი ამით არ დასრულებულა და მისი ბედი კვლავ გაურკვეველია. მაუწყებლის მიერ ახლად გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე ეკონომიკის სამინისტრომ მიწის ნაკვეთი შესთავაზა, სადაც ახალ შენობას ააშენებენ, კოსტავაზე მდებარე საკუთრებას გაყიდიან და ხარჯს ამით დაფარავენ. ამ ეტაპზე მოლაპარაკებების პროცესი დაწყებულია და დამატებითი დეტალები ცნობილი არაა.

მეორე არხი

ცვლილებები შეეხო საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხსაც, სადაც პარლამენტიდან სხდომების პირდაპირი ტრანსლაციების გარდა, ყველა გადაცემა და პროექტი დაიხურა. ამ ეტაპზე იქ საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს გადაცემები გადის. გაუგებარია არხის ბედი. ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, მის ნაცვლად სპორტული არხი გაკეთდეს, თუმცა ამ საკითხზე, ისევე, როგორც გეგმებთან დაკავშირებულ სხვა ბევრ თემაზე, საზოგადოებრივი მაუწყებელიდან მოგვწერეს, რომ ვერ გვიპასუხებენ, რადგან გეგმები საჯარო ინფორმაციის სფეროს არ განეკუთვნება.

რადიო

ამ ეტაპისთვის ყველაზე ნაკლები ცვლილება რადიოს შეეხო, თუმცა მაუწყებელმა “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსთვის” გამოგზავნილ წერილში აღნიშნა, რომ მიმდინარეობს მუშაობა მაუწყებლის “რადიო 1”-ის საერთო ბადის განახლება/ფორმირებაზე.[5]

ვებ გვერდი

აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდის აქტიურობა. შეიქმნა ახალი ვებგვერდი, რომელიც ბაზარზე უკვე პოზიციონირებს, როგორც ინფორმაციის მიღების წყარო.

5 საზოგადოებრივი მაუწყებლიდან 2017 წლის 23 ოქტომბერს მიღებული პასუხი



ფოტოზე ასახულია როგორ გაიზარდა ვებსაიტის მომხმარებელთა რაოდენობა.
წყარო: საზოგადოებრივი მაუწყებლის 2017 წლის მე-2 კვარტლის ანგარიში.

არაეფექტური სამეურვეო საბჭო

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო 9 წევრისგან შედგება. მის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას გენერალური დირექტორის არჩევა, ბიუჯეტის დამტკიცება და მის შესრულებაზე კონტროლი, პროგრამული პრიორიტეტების შემუშავება და მათი შესრულების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების მიღება წარმოადგენს.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვო საბჭოს უმრავლესობა სათანადოდ არ რეაგირებს მაუწყებელში მიმდინარე პროცესებზე. თავად ფაქტმა, რომ ვასილ მაღლაფერიძე დირექტორად აირჩიეს, კითხვები წარმოშვა თუ რამდენად დამოუკიდებელი იყო საბჭო გადაწყვეტილების მიღების დროს და რა როლი ითამაშა ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ახალი დირექტორის გაცხადებულმა კავშირებმა სამეურვეო საბჭოს წევრების გადაწყვეტილებაზე.

ა. პროგრამული პრიორიტებების შესრულება

სამეურვეო საბჭო დუმილის რეჟიმში იყო მაშინ, როცა თვეების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ფაქტობრივად მხოლოდ "მოამბე" გადიოდა, წინასაარჩევნო პერიოდში კი დაემატა საარჩევნო პროექტი "თვითმმართველობა 2017", რაც შეიძლება "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით[6] დაკისრებული ვალდებულების არასრულ შესრულებად განვიხილოთ. აღნიშნული კანონი ადგენს სამეურვეო საბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამული პრიოტეტების შესრულების საკითხს. პროგრამული პრიორიტეტები არხზე საინფორმაციო გადაცემებსა და ახალ ამბებთან ერთად პოლიტიკურ-ანალიტიკური გადაცემების, ჟურნალისტური გამოძიების, კულტურული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი გადაცემების არსებობას ითვალისწინებს.

6 "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე- 7-ე მუხლის მე-7 პუნქტის ა) ქვეპუნქტი

მაუწყებლის მენეჯმენტი განმარტავდა, რომ ისინი პროგრამულ პრიორიტეტებს არ არღვევენ, რადგან, საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ პირველ არხს არ მოიცავს, არამედ რადიოს და ვებ პლატფორმასაც, სადაც აქტიურად აშუქებენ ამ პრიორიტეტებში ასახულ საკითხებს.

დღევანდელი მდგომარეობით საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიოს რეიტინგი ტელევიზიისაგან განსხვავებით არ იზომება, ხოლო საქართველოში განსაკუთრებით კი რეგიონებში, ინტერნეტზე წვდომა მოსახლეობის ბევრად მცირე ნაწილს აქვს, ვიდრე ტელევიზიაზე. ამასთან, საზოგადოების დიდი ნაწილი ტელემომხმარებელია, რასაც საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტიც ადასტურებს. მენეჯმენტის მიერ ვებ პლატფორმითა და რადიოს საშუალებით პრიორიტეტებში ასახული საკითხების გაშუქება, სრულად ვერ ცვლის ტელევიზიით პროგრამების გადაცემას. შესაბამისად, არსებული მდგომარეობა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების მიზანს.

აღსანიშნავია, რომ პროგრამული პრიორიტეტებით გათვალისწინებული გადაცემები, სრულად კვლავ არ გადის ეთერში.

ბ. ეგზიტპოლები

2016 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ სამეურვეო საბჭო სამ კერძო ტელეკომპანიასთან - "იმედთან", "GDS"-თან და "მაესტროსთან" ერთად ეგზიტპოლის ჩატარების საკითხს განიხილავდა. მიუხედავად, თანამშრომელთა ნაწილის და არასამთავრობო ორგანიზაციების არაერთი განცხადებისა, რომ ეს პროცესი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სანდობაას, სამეურვეო საბჭომ მაინც დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ეგზიტპოლის მონაცემები ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ არჩევნების საბოლოო შედეგებს მნიშვნელოვნად აცდა. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე გრიგოლ გოგელია აცხადებდა, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევის განმახორციელებლ ორგანიზაცია TNS-ისთვის ფულის გადახდას არ აპირებდნენ, თუმცა საბოლოოდ სამეურვეო საბჭოს მიმდინარე წლის გადაწყვეტილებით, მაუწყებელი კომპანიას 76 ათას ევროს მაინც გადაუხდის.

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა უნდა მოაწყოს საჯარო დისკუსია საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, თუ რამდენად ასრულებს მაუწყებელი კანონმდებლობით ნაკისრ ვალდებულებებს;

- საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმეტმა და სამეურვეო საბჭომ აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგან, რათა საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს, რაც გამოიხატება გამჭვირვალობაში, საზოგადოების ინფორმირებაში მაუწყებელში მიმდინარე პროცესებთან დააკავშირებით, საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულებასა და ობიექტური, მიუკერძოებელი და პლურალისტური სარედაქციო პოლიტიკის გატარებაში;

- სამეურვეო საბჭომ სათანადო რეაგირება უნდა მოახდინოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პრიორიტეტების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით;

- მნიშვნელოვანია დასრულდეს რეორგანიზაციისა და კადრების რესტრუქტურიზაციის პროცესი იმისთვის, რომ მაუწყებლის ფუნქციონირება გახდეს უფრო ეფექტური და გამჭვირვალე;

- საქართველოს პარლამენტმა მხარი არ უნდა დაუჭიროს მაუწყებლის შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს მაუწყებლის საჯაროობასა და გამჭვირვალობას, გაზრდის კორუფციის რისკს და დააზარალებს სარეკლამო ბაზარს.